4

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის _ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2024 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — შალვა კილაძე

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
TSKALTUBO MUNICIPALITY PUBLIC HELTH CENTER
384054 ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N25
384054, GEORGIA TSKHALTUBO RUSTAVELI ST N25
ტელ. (0436) 22–28–08 მობ.(599) 971745

14-34-2-202502131624

N 34/14

13.02.2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ა(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2024 წლის III -IV კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის

პატივისცემით

მანანა ტყეშელაშვილი

მმართველი

ანგარიში

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის III- IV კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის საშტატო ერთეული, 2022 წელს გადაკეთდა სტატისტიკოსის შტატი იურისტის შტატად.

2024 წელს III- IV კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,C''-20 შემთხვევა
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,B''-6 შემთხვევა
მწვავე ვირუსული ჰეპატიტი ,,B" -2 შერმთხვევა
სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -94 შემთხვევა
ბრუცელოზი -6 შემთხვევა
სავარაუდო საკვების მიერ მოშხამვა-111 შემთხვევა
ჩუტყვავილა -8 შემთხვევა
ლაიმის დაავადება (ბორელიოზი)-1 შემთხვევა
ტუბერკულოზი -2 შემთხვევა.
ქუნთრუშა 2- შემთხვევა
ლეპტოსპიროზი 29 შემთხვევა.
ჰანტავირუსული ინფექცია 1 შემთხვევა
წითელა 1 შემთხვევა
ყივანახველა 3 შემთხვევა

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2024 წლის III- IV კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ) ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :
დიფტერია,ყივანახველა,ტეტანუსის საწინააღმდეგო- 205 აცრა
წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-189 აცრა
ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 121 აცრა
როტარიქსის საწინააღმდეგო 103 აცრა
პნევმოკოკური ვაქცინით 181 აცრა
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 109 აცრა
ჰექსაქსიმის ვაქცინა- 175 აცრა
ანტირაბიული 403 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტქროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან ვაქცინებით.

გაიცა ტამიფლუ - 40 აბი.
C ჰეპატიტის და შიდსის ტესტირება გაუკეთდა 2682 ბენეფიციარს, აქედან პირველადი 135 დადებითი 8.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2024 III- IV -კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლეული იქნა 63 მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 31 პაციენტს, უარყოფითი 32.

2024 წლის III- IV კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონები. ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშო ბაღების სან ჰიგიენური მდგომარეობა. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე ცოფის მსოფლიო დღე, შიდსის მსოფლიო დღე, დიაბეტის მსოფლიო დღე. ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

2024 წლის III- IV კვარტლის ენტომოლოგის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ჭაობების, ღია და დახურული წყალსატევების მონიტორინგი. საკადასტრო რუქის შექმნით.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2024 წლის III- IV კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	180 852	179782
2	ჯილდო პრემია	12750	12574
3	დანამატი	719	719
4	შტატგარეშე	12552	11798
5	მივლინება	70	70
6	საკანცელარიო	3219	3212
7	ნორმატიული აქტები	60	60
8	ოფისისათვის საჭირო საგნები	1500	1500
9	რეცხვა ქიმწმენდა და სან. საგნ.	2500	2500
10	შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტი	36200	34485
11	ინტერნეტი	907	907
12	მობ. ტელეფონი	987	911
13	კომუნალური (დენი გაზი, წყალი)	4529	4529
14	სამედიცინო ხარჯი	1024	1023

15	რბილი ინვენტარი (ჟალუზების)შეძენა	750	750
16	საწვავი	6367	6366
17	მიმდინარე რემონტი	1000	930
18	ექსპლოატ. მოვლა-შენახვა და სათ. ნაწ.	3990	3990
19	აუდიტის მომსახურეობა	150	0
20	შენობა ნაგებობის დაცვა	1823	1725
21	სხვა.დანარჩენი საქ. და მომსახურეობაზეგაწ.ხარჯი	12878	12878
22	სხვა ხარჯები	369	369
23	კომპიუტ. შეძენა	3700	3700
24	პრინტერ სკანერის შეძენა	2390	2390
	ჯამი	292320	287954

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველი: მ. ტყეშელაშვილი.